№ 248 3 დეკემბერი, კვირა 1866—1878 3 დეკემბერი, კვირა № 248

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — — — — — — — — — | 8 მან. |
| ნახევარის წლისა— — — — — — — — — — | 5 „ |
| სამის თვისა — — — — — — — — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — — — — — — — — | 1 „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

## საქართველო

### დღიური

** ჩვენ მივიღეთ ბათუმიდამ ამბავი, რომ ამ მოკლე ხანში ბორჩხაში დაყენებულ დრუჟინის ჯარსა და ადგილობრივ მცხოვრიბლებს შუა კინაღამ შეტაკება არ მომხდარა. საქმე აი როგორ ყოფილა:

დრუჟინის უფროსს ბრძანება მოსვლია, რომ 50 კაცი გაგზავნოს და ყარაულად დააყენოს ართვინის გზისაკენ იმ განზრახვით, რომ კონტრაბანდის (უბაჟო საქონლის) შემოტანას უგდონ ყური. როცა მცხოვრებლებს შეუტყვიათ ეს ამბავი, გამოცხადებულან ამ 50 კაცის აფიცერთან და უთქვამთ, რომ არ შეგვიძლია გაგიშვათო, რომ ჩვენ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა მოგვისპოთო, ჯერ კამისია არ არის დანიშნული, სამზღვრები არ გაუყვანიათ და ახლავე კარდონის გამართვა არ შეიძლებაო.

ამბობენ, რომ აფიცერს თავის უფროსის ბრძანების ასრულება მაინც კიდევ უნდოდაო, მაგრამ ხალხმა თოფიარაღი აიღო ხელში და ისე გადაუდგა წინაო.

ეს ამბავი ბათუმში შეუტყვიათ და იქიდამ იმწამსვე გამოუგზავნიათ ორი როტა ჯარი და რამდენიმე ყაზახი. მაგრამ როცა ბორჩხას მოსულან, უნახავთ, რომ ის 50 კაცი მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ.

ამ ნაირად საქმე მშვიდობით გათავებულა. სასურველია, რომ ხალხს ამისთანა უბრალო მიზეზი არ მისცენ გაბრაზებისა; უიმისოთაც ისინი ჩვენ, როგორც ახლად მოსულებს და უცნობს, განზე გვიყურებენ და ყოველი ამგვარი უბრალო შემთხვევა გაზვიადდება და ამისაგან, ხალხის გაბრაზების გარდა, შეიძლება უნამყოფო შეტაკება და სისხლის ღვრაც მოხდეს.

ჩვენ თავისებურ, სხვა-ნაირ ხალხთან გვაქვს საქმე და ამიტომ ბევრი

## ფელეტონი

### ხელოსნის სიმღერა

ხელოსნობა დავარდა,
აღარ არის ხეირი.
ვაჭრები ტყავს გვაძრობენ,
მოდით, ნახეთ სეირი!

—

ღმერთო, მომე შეძლება,
ხელში ავიღო ცელი,
გავკაფო გზა და ველი,
გზა გავიყვანო გრძელი!

—

ამ ფიქრითა მოცულსა
მინდა მეჭამა პური:
მეპურესთან მივედი
და მივაწოდე ფული.

—

პური რომ ჩამოვართვი,
ვნახე, არ იყო სრული,
უკანვე მოვითხოვე
ჩემი ალალი ფული..

—

მეპურემ ასე მითხრა:
„—ძმაო, გაძვირდა პური!
„ყველაფრის სიძვირემა
„ლამის გახეთქოს გული!“

—

ვისურვე ღვინის სმაი:
სირაჯსა ვკითხე ფასი.
„—თუნგი მანეთად!“ მითხრა..
Iყო რუსული კვასი!

—

— განა აგრე გაძვირდა,
მანეთი მოგცე ძმარში?!
„—ჩვენი ფასი ეს არის
„გნებავთ, მიბრძანდით კარში!“

—

ბაყალთანაც მივედი,
უნდა მეყიდა ყველი.
Iმანაც მომატყუა:
მომცა მძაღე და ძველი!

—

ხუთ შაურად გირვანქა,
ამბობს, არ არის ძვირი.
დილით საღამომდისინ
ჰყვირის წალკელი ვირი!

—

საწყალი ხელოსანი
ლუკმასა სჭამს შრომითა,
ვაჭარი ლიპიანი
ჩაისა სვამს რომითა!

—

ხელოსნებო, გაფრთხილდით,
მისთვისა ვსთქვი შაირი!
Iშრომეთ, გაისარჯეთ,—
მოგეცემათ ხეირი..

თფილისი, 25 ნოემბერს. ხელოსანი

სიფრთხილე, წინდახედულობაა და მოთმინება გვმართებს, თუ გვინდ, რომ ამათი გული მოვიგოთ...

*** არავის ახსოვს, რომ ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავალობაში იმისთანა ზამთარი ყოფილიყოს ჩვენში, როგორიც წელს არის. დღეს ქრისტეშობისთვის ორია და ისე თფილა ქალაქში, რომ ხალხი უპალტოთ და უ-თბილ-ტანისამოსოთ დაიარება; ცა მოწმენდილი, მშვენიერია, მთბობი მზე..

*** მოგეხსენებათ, რომ ომიანობის დროს ჯარის კაცებს მინიჭებული ჰქონდათ უფლება, რომ მუქთად, უფულოდ გაეგზავნათ და მიეღოთ წიგნები ფოჩტის საშუალებით. რადგან ომი გათავდა და მშვიდობიანობა დამყარდა, ამის გამო ეს უფლება ახლა მოისპო: ფოჩტა ყველა ჯარის კაცებს ახდევინებს წიგნების გასაგზავნ ფულსა.

*** პატივცემულმა „ობზორმა“ კიდევ გამოინადირა ჩვენკენ... ზამოინადირა ჩვეულებრივად, თავის კარგად ცნობილ ფარ-ხმლითა და სასროლი იარაღებით. ღმერთო ჩემო, რამდენი უაზრობა, რამდენი სიცრუვე, რამდენიმე უხეირო ფრაზები და უკადრისი მსჯელობაა ამ პატარა შენიშნვაში!.

საქმე აი რასში მდგომარეობს:

„დროების“ № 243-ში დაბეჭდილი იყო პატარა ამბავი, რომ, „ივერიას“ გარდა, კიდევ ერთი ქართული ჟურნალის („იმედის“) გამოცემას აპირებენ მომავალი წლიდამო; და ამის თაობაზე იყო ნათქვამი, რომ „წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ ამთავითვე სთქვას, რომ ერთ-ერთი ამ ჩვენი მომავალი ორი ჟურნალისა—„ივერია“ ანუ „იმედი“—წინათვე სასიკვდილოდ არის დანიშნული, თუ ორთავე ჟურნალის პატრონებს იმდენი კერძო საშუალება არა აქვთ, რომ თავის საკუთარი ჯიბიდამ უკანასკნელი ოთხმოცი-ასი თუმანი მაინც დახარჯონ წელიწადში.“

შემდეგ მოყვანილი იყო ის ჰაზრი, რომ „რაც უნდა იყოს, ეს (ჟურნალის გამოცემა) მაინც სასიამოვნო მოვლენაა: რამდენიმე წიგნი მაინც შეემატება ჩვენს ღარიბ ლიტერატურას, ჰაზრები გამოითქმება, კითხვები აღიძვრება და სხვ.“

ეს ვთქვით. და ამისთვის „ობზორი“ ჯვარზე ცმას გვიპირებს. რას არ შეგვწამებს, რას არ გვაბრალებს, რა უხილავი და უხიაკი ჰაზრები არ გამოჰყავს ამ უბრალო შენიშნვიდგან!.

„შფ. მესხი რაღაც ზიზღით იხსენიებს ამ ჟურნალსო!. შფ. მესხი ამბობს, რომ უეჭველად ყველა ქართული ჟურნალები იბადებიან და კვდებიან... იმას ჰაზრით, ჩვენ ბედისაგან გვრგუნებია მხოლოთ ერთი გაზეთი „დროება“ და ერთი ჟურნალი „ივერია“.. „ზანა მართალნი არ იყვნენ ის „მეცნიერნი“, რომელთაც მოიგონეს ბრძოლა არა „არსებობისათვის“, არამედ ჯიბისათვის?..“

საიდამ სადაო, ღმერთო შეგვიბრალე! როდის ვთქვით, სად არის დაბეჭდილი „დროებაში“ ეს სიტყვები?! სირცხვილი არ არის ასე მოგონება და მერე ამ თავისგნითვე მოგონებულზე გამობაასება! ხეირიანი გაზეთი განა იკადრებს ამ გვარ მოგონებას, ამ გვარ შეთხზას იმ იმედით, რომ ჩემს მკითხველებს ჩემი მოწინააღმდეგის ნათქვამი არ ექნება წაკითხულიო? ზანა ჩვენს შენიშნვაში პირ-და-პირ არ არის ნათქვამი, რომ, თუ ამ ჟურნალების პატრონებს თავის ჯიბიდამ არ შეუძლიანთ უკანასკნელი ოთხმოცი-ასი თუმნის დახარჯვა, ერთ-ერთი (და არა მაინც-და-მაინც „იმედი“) ამ ორი ჟურნალისა მოკვდება-მეთქი? რისგან არის ეს? რატომ?—ეს სულ სხვა აწგარიშია და, თუ საჭირო იქნება, ამის თქმაც შეგვიძლია.

რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენი სიტყვების საფუძველი არის „ბრძოლა ჯიბისათვის“, იმაზე რა უნდა ვსთქვათ? ზანა უნდა დავიწყოთ დამტკიცება, რომ არა, „დროების“ რედაქცია ჯიბისათვის, ანგარ-მოყვარეობით არ ხელ-მძღვანელობს თავის შრომაში და მოქმედებაშიო! საკადრისი არ არის, არც არავისთვის საინტერესო ამ გვარ საგნებზე ლაპარაკი. და თუ შენიშნვის ავტორს ჰსურს, მობრძანდეს რედაქციაში და ჩვენ უჩვენებთ იმას გაზეთის შემოსავალ-გასავლის წიგნს და დავთარს, რომლიდამაც შეიტყობს—თუ რამდენი ასი და ათასი მანეთი ნაღდი შემოსავალი აქვს რედაქციას...

ქართული ანდაზაა: „ძაღლო, შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო!“ ამისდა მსგავსად ჩვენ „ობზორს“ როდი ველაპარაკებით: გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ამ გაზეთთან ლაპარაკი კალმის წვერის დაჩლუნგვად არა ღირს. თუ ვამბობთ რასმეს, ვამბობთ საზოგადოებისათვის, რომელშიაც იქნება კიდევ მოინახოს რამდენიმე იმისთანა პირი, რომელთაც სჯერათ „ობზორის“ ამისთანა ობროდობას...

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანისტანი

ერთს ლონდონის გაზეთში მოყვანილია შემდეგი სიტყვები, რომელიც ავღანისტანის ემირის შირ-ალის ძმის-წულს

## ჰუმბერტი ნეაპოლში

(დასასრული *)

ზამოსცდა თუ არა პაროლი სტანციას, უეცრად, ელვის სიჩქარით გავრცელდა მთელს ნეაპოლში ხმა, რომ ერთმა ვიღაც თავხედმა გაჰბედაო „საჭურველის აღება“ პაროლზედ.

ხალხმა შეჰქნა ჩურჩული: ერთი იძახდა: „კაროლი დასჭრესო“; მეორე—„არა, ტყუვილიაო“, მესამე ამბობდა—„პაროლი დასჭრაო, და იმანაც არ დაინდო თავისი მტერიო“. მომატებულმა ხალხის რიცხვმა არ დაიჯერა და თავისებურად განაგრძო ყვირილი „Viva“ და ტაშის-კვრა.

მაგრამ ხალხს ტყვილად არა სჯეროდა, ეს ამბავი მართალია. აი ეს როგორ მოხდა:

პაროლის სახლობა შემოვიდა თუარა სან-ჯიოვანის ქუჩაში, ერთი საწყალი დედაკაცი ცისფერი კაბით, თეთრი შალით და ხელში პატარა ბავშვით მიუახლოვდა კაროლევას და დაუწყო თავის მწარეთ დაჩაგრულს მდგომიარობაზედ ლაპარაკი. დედოფალი ღიმილით, ნათელის პირისახით გამოთქმით და დედობრივი გულ-ლმობიერებით მოისმენდა მის თხოვნას და შემდეგ უთხრა ერთიორი სანუგეშო სიტყვა. დედაკაცმა მადლობა მოახსენა და გამობრუნდა; მის სახეზედ დაბეჭდილი იყო სიხარული და კმაყოფილება.

მეორე მხრით ერთი ბებერი მიუახლოვდა პაროლს; ხელში ეჭირა ჩჩვილი ქალი, რომელმაც მეფეს მიაწოდა არზა. მეფემ თავის ხელით გამოართო ყმაწვილს თხოვნა და დაიწყო კითხვა. ეტლთან იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ საბრალო ბებერი კინაღამ არ წაიქცა და არ წავარდა ეტლის ქვეშ.

ამ დროს უკანა ხალხის ჯგუფიდან გამოვარდა ერთი მჭვრეტელი და ხელის კვრით განიკვლია გზა კაროლისაკენ. ხალხს ეგონა, რომ ის მიიჩქაროდა ბებერ დედაკაცის და ბავშვის საშველად და იმიტომ ჰყის გზა გაუღო. მას წითელ ხელსახოცში გახვეული რაღაც ეჭირა, და მივიდა თუ არა პაროლთან, დაიჭინახეთ—ამ კაცმა ხელი, რომელშიაც ეჭირა წითელ ხელსახოცში გახვეული დანა, მაღლა აიღო და მერმე სწრაფად დაუშვა მეფის გულისკენ, მაგრამ გულს ასცდა და გაუფხაჭნა მკლავი. ჰუმბერტმა, გულის აუჩქარებლად ხმლის ტარი ჩაატყა იმას ხელში. დედოფალმა წამოიწია და დაიძახა:

„—ეგ მკვლელია...დაიჭირეთ...პაიროლი, უშველით თქვენ ხელმწიფესა!....“

იმ წამს პაიროლი მისწვდა და დაუჭირა თმები მკვლელს, რომელმაც მაშინ თავისი დანა დაუმიზნა პაიროლის მუცელში, მაგრამ მეორეთაც ასცდა და დასჭრა ბარძაყში. პირველად, პაიროლის შემდეგ, მეფეს მიეშველა სტუდენტი აკვილა და ჯოხი ჩაჰკრა თავში მკვლელსა; შემდეგ მიეშველნენ: მეორე სტუდენტი (რომელსაც უნივერსიტეტის დროშა ეჭირა) და უფროსი საჯარადო მხედრობისა; უკანასკნელმა ხრმალი აშიშვლა და ერთის მარჯვე დაქნევით გაუჩეხა თავი მკვლელსა; ის სასიკვდილოდ არ დაიჭრა, მხოლოდ კი დასუსტდა და

*) „დროება“, № 246

თ. სეკუნდერ-ხანს უთქვამს ერთი ინგლისელი ლორდისათვის:

„—თქვენ კარგათ იცით, თუ რა მიყო მე ჩემმა ბიძამ—შირ-ალიმ: გამცარცვა, წამართვა ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა, საპყრობილეში ჩამაგდო და მოკვლას მიპირებდა. მაგრამ თუ თქვენ, ინგლისელებმა, ქვეტას დაპყრობა და საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის დაჩაგვრა მოინდომეთ, დარწმუნებული იყავით, რომ პირველი მე დავდგები იმის დროშის ქვეშ და დავიწყებ თქვენ წინააღმდეგ ბრძოლას. აგ გვარადვე მოიქცევა ყველა ავგანელი, რაც უნდა უკმაყოფილო იყოს ის თავის მეფის შირ-ალისა.“

### ოსმალეთი

სტამბოლიდამ იწერებიან 22 ნოემბერს ერთს ფრანცუზულს გაზეთში:

„აქ მოვიდა რუსეთის იმპერატორისაგან პასუხი იმ წიგნისა, რომელიც ამას წინათ გაუგზავნა სულთანმა ლივადიაში. იმპერატორი აცხადებს ამ წიგნში, რომ ის მზათ არის აასრულოს ყველა მუხლები ბერლინის ტრაქტატისა, და ამის დასამტკიცებელად ამ მოკლე ხანში ბოლგარიაში და აღმოსავლეთ რუმელიაში დაყენებულ რუსის ჯარების სარდლებს გაუგზავნე ფიცხელი ბრძანებაო, რომ ყოველი ღონის-ძიება იხმარონ, რომ ხალხთან ანუ ოსმალოს ჩინოვნიკებთან რაიმე უკმაყოფილება და განხეთქილება არ ასტეხონ. ამასთანავე რუსეთის იმპერატორი აცხადებს სურვილს, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მუდამ მეგობრობა და კეთილ-განწყობილება იყოს დამყარებული.“

### რუსეთი

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი სტამბოლიდამ მიღებული ამბავი: „რუსის ელჩი თ. ლობანოვი-როსტოვსკი ადრიანოპოლიდამ დაბრუნების შემდეგ იყო საფეტფაშასთან, რომელთანაც ჰქონდა მოლაპარაკება იმაზედ, რომ, თუ ოსმალეთი დაბოლოებით პირობას შეჰკრავს რუსეთთან, რუსები ორი თვის განმავლობაში გაიყვანენ თავიანთ ჯარებს რუმელიიდამ და ბოლგარიიდამ.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლაგორი**, 1 ნოემბერს. ჯალალაბადიდამ მოვიდნენ მოხელენი და წარჩინებულნი პირნი დაქშაში და გამოუცხადეს ინგლისელებს თავისი მორჩილება და სამსახურის სურვილი.

**პეტერბურღის ბირჟა**, 1 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | —96—62 |
| მეორე— — — — — | —95— „ |
| მესამესი — — — — | 95—12 |
| მეოთხესი — — — — | 95— „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—25 |
| აღმოსავლეთის მეორე— | 91—25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—47 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 237—75 |
| მეორე სესხის — — — | 232— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—87 | [illegible] |
| ამსტერდამი— — | 118—50 | ცენტი |
| ბერლინი— — — | 199—25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 245—10 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | „— „ — | |


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს
## კალენდარი
ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოიევის მაღაზიაში. ქუთაისში: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭედიდან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: **ივ. ქერესელიძის ლექსების** გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაიევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, მული და მაშენიკები“**—თ ფ ი ლ ი ს შ ი: გრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: გიორგი ბარათოვთან, გ ო რ შ ი: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ შ ი: თ. ვანო თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნიკო დიასამესწრისნ


დავარდა დედა-მიწაზედ. მაშინ ის ასწიეს და წაიყვანეს საპყრობილეში.

ეს ამბავი ისე სწრაფად მოხდა, რომ ხალხის წინა ჯგუფმა ხეირიანად ვერცკი მოავლო თვალი ამ სცენას. მეფეს პატარა ვაჟს შიშმა ცოტას ხანს აკანკალა, მაგრამ კაროლმა და კარალევამ არაფრად არკი შეიჩნიეს ეს ამბავი და ჩვეულობრივ ღიმილით თავის-კვრა დაუწყეს ხალხსა, რომელმაც უფრო გაამრავლა მაღალი ხმით „Viva“ და ტაშის-კვრა.

აქაური გაზეთი „Corriere dei mattino“ აი როგორ აგვიწერს ბრალეულსა:

„ჩვენ ვნახეთ ციხეში ბრალეული, თავშეხვეული და უშნოდ ჩაცმული. ის შუა ტანისაა, ხნით 29 წლისა და თავის თავს უწოდებს Çioranni Passanante. მის სახეს ძიწის ფერი აძევს, აქვს შავი სიხხლის-მწყურვალე თვალები და შავი შემოხვეული წვერი; მისი ხმა ქუხილივით გრგვინავს. ის წინათ, როგორც თვითონ ამბობს, მზარეულად და შემდეგ უსაქმოდ ყოფილა. ჩვენ კითხვაზედ მან მოგვიგო:

„—მე ინტერნაციონალისტი ვარ, მძულს ყოველი ხელმწიფე და მათი სამართალიო; მე მრწამს მხოლოდ ერთი მსოფლიო რესპუბლიკის პროგრამმაო; მე არც შთამგონებელი და არც მომხრენი არა მყავსო და მე, ერთ საწყალს მზარეულს, მსურდა რეფორმა მომეხდინაო. ჩემი მიზნის ასასრულებლად გავყიდე ტანსაცმელი და ვიყიდე დანა; თუ რომ ცოტა მომატებული ფული მეშოვნა, უეჭველად დამბაჩას ვიყიდდიო.“

„დანა, რომლითაც დასჭრა კაიროლი და გაჰფხაჭნა მეფე, სისხლიანი იპოვეს და მოიტანეს პოლიციაში; ის 12 სანტიმეტრია სიგრძით და შხამში არ არის გავლებული. პოლიციამ იპოვა ბრალეულის სახლი და გასჩხრიკა, მაგრამ ვერა იპოვა რა გარდა ბარათებისა და ერთი ხელნაწერი წიგნისა, რომელშიაც უაზროდ არის ნაწერი მოთხრობა ლეონიდზედ, ბრუტზედ დი ქრისტეზედ“.

კაროლი თავისი სახლობით ნეაპოლს ესტუმრა ერთი კვირითა. წარსულს კვირას ყოველი დღე სასახლის წინ მოედანზედ „Plebiscito“ ნაიდაგ მუზიკა უკრავდა, ყოველ საღამოს მთელი ნეაპოლი განათებული იყო გაზითა, ჭრაქებითა, შუშხუნებითა და ფერად-ფერადი ცეცხლითა. დილიდამ შუაღამემდინ სავსე იყო სასახლის ახლო-მახლო ქუჩები, რომლებზედაც იკრიფებოდა უკანასკნელი რიცხვით ასი ათას სულამდინ. დღეში რამდენჯერმე სასახლესთან მოდიოდა მუზიკის კვრით სხვა-და-სხვა ასსოციაცია თავისი დროშებითა, ყვავილებითა და საჩუქრებითა. დილიდგან შუაღამემდინ ამ დღეებში ისმოდა დაულეველი „Viva“ს ქუხილი და ტაშის-კვრა. მხოლოდ შუაღამისას ხალხი ყვირილით და მუზიკის ხმით იღვევოდა და ბრუნდებოდა სახლში.

კვირა დილას რვა საათზედ ხალხმა დღეგრძელობის ძახილით და ტაშის-კვრით კაროლი გააცილა სტანციამდინ...

ა. ბერიძე

ნეაპოლი, 16 (28) ნოემბერს.

მეჯერისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იოსებ სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირობით ისყიდება ამავე ავტორის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?"


გამოვიდა და ისყიდება ტფილისში ვართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან

ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბახი საწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მრგვალის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდამ გადმოწერისათვის მრგვალის ხელით; 3 ანბანის დედანი ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (იგივე არის მაგალითი) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში არის მაგალითები—რა უმთავრესის საფუძვლით ებმის ასოების ერთმანერთს გაბმულის ხელით წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა წიგნი სიბრძნე სიცრუისა თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური.

ძ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სქელ ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი.



გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზაქარია ჩრიკუროვის კავკასიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი"

სხვა და სხვა ახალი სიმღერები

თქმული

გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქვე ისყიდება აგრეთვე „ანბანი" ი. გოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ.



ლექსები

## „სიყვარული"

შედგენილი ანტ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ჩრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის" რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ზ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტაევს დუქანში.

ფასი ორი შაური. ორას ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.



ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰსურს ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა**, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. (10—9)


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის ამიერ მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთს, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამხედრო გზით, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნი | 4 |
| დ. ბ. ქაღალდი (ხუთი მისხალი) | 8 |

| ბაზარი | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 30 ნოემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი | 1 | 60 |
| ქერი ფუთი | 1 | 30 |
| ბამბა მრგვალისა, ფუთი | 7 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 04 |
| ბაკენტი ბამბა ფუთი | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 3 |
| ხორცი ძროხის, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი ვედრო | 4 | 80 |
| შაქარი, გროვ. ფუთი | 7 | 60 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 6 | 50 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვარიელის სახლებში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: შერმიშევი და ბარლევინი—შინაგ. ავათ., მიუნარიანცი—საჯარო ექიმი და სამშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: შერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებით და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: შერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: შერმიშევი—შინაგ., მიუნარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: შერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებით ქალისა და ბავშვების.

შაბათს: შერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Декабря „1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.